ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წლიური ანგარიში
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით გათვალისწინებულ ინფორმაციის თავისუფლების თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" III თავის 49-ე მუხლის თანახმად მოცემულ ანგარიშში ასახულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების შესახებ ინფორმაცია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით" დადგენილი წესით.

სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: სტატისტიკურ მონაცემებს, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მიღებულ სამართლებრივ აქტებს. ასევე, ინფორმაციას საქმეთა მიმდინარეობის/შედეგის შესახებ.

2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 67 განცხადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, როგორც სასამართლოში განცხადების უშუალოდ წარმოდგენით, აგრეთვე ელექტრონული ფორმით, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის kutaisi-appeal@court.ge მეშვეობით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა" და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის # 1/225 გადაწყვეტილების მოთხოვნების შესაბამისად. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ფარგლებში, თავის ვებ-გვერდზე პერიოდულად ანთავსებს სტატისტიკურ ინფორმაციას.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული 67 განცხადებიდან:

- სრულად დაკმაყოფილდა - 53 მოთხოვნა;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 5 მოთხოვნა;
- არ დაკმაყოფილდა - 9 მოთხოვნა.

სასამართლოში შემოსული განცხადებები, შეიცავდა საჯარო ინფორმაციის ერთზე მეტ, უმეტესწილად მრავალ მოთხოვნას. უმრავლეს შემთხვევაში მოთხოვნილი იყო ისეთი ინფორმაცია, რომელზეც სასამართლო სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვას არ

აწარმოებდა. სასამართლოს გადაწყვეტილებების დამუშავება (დეპერსონალიზაცია) და სტატისტიკური მონაცემების შედგენა ხდებოდა მოთხოვნის შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე, ხოლო რიგ შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ინფორმაციის (სტატისტიკური მონაცემების) არარსებობა ან/და მოთხოვნილი ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს და განმცხადებელს არ წარმოუდგენია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 44-ე მუხლის შესაბამისად, იმ პირთა თანხმობა, რომელთა შესახებაც ითხოვდა ინფორმაციას.

გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე ან/და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიიღებოდა საქართველოში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელის მიერ (კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების მიზნებისათვის მონაცემების შეგროვებისას ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, ხოლო აპარატის მოხელეთა მონაცემების დამუშავება ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა" და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში აპარატის მოხელეთა მხრიდან მითითებულ პერიოდში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ეყრდნობოდა შემდეგ სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს:

1. „საქართველოს კონსტიტუციას"; „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა" და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონს.
2. სასამართლოს მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ იძლეოდა მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვების/დამუშავების შესაძლებლობას, ასევე სასამართლოში დაცული არ იყო მოთხოვნილი ინფორმაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით გასაჩივრდა (სარჩელის წარდგენის თარიღი 2024 წლის 29 მაისი) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის ერთი გადაწყვეტილება, რომლის განხილვაც არ დასრულებულა.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსის" 38-ე მუხლისა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" კანონის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისთვის საფასური არ გადახდილა, ვინაიდან განმცხადებელების მოთხოვნის თანახმად ინფორმაცია იგზავნებოდა ელექტრონული ფორმით.

შორენა ფურცხვანიძე

Shorena

Digitally signed by Shorena

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის
მოვალეობის შემსრულებელი

კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი